



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 141
18/01/2018

ქალაქი ბათუმი

141-05-4-201801181428



“მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციისათვის კომისიის შექმნის შესახებ” ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 19 ოქტომბრის №1824 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად ვბრძანებ:

1. “მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციისათვის კომისიის შექმნის შესახებ” ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 19 ოქტომბრის №1824 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციისათვის კომისიის შექმნის შესახებ“.

ბ) ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მირზა ბახტაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ანა ბაყაშვილი - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;

გ) ომარ დუმბაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;

დ) გულვარდი ევგენიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის მდივანი;

ე) ქეთევან უსტიაშვილი - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილების შტატგარეშე მოსამსახურე - კომისიის წევრი.“

2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

A handwritten signature in blue ink, enclosed in a blue oval. The signature is stylized and appears to be the name 'ჯუმბერ ვარდმანიძე'.